ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1873968

ნომერი: AR1306278

თარიღი : 01.05.2015

გაცემის თარიღი : 02.05.2015

გაცნობის თარიღი : 02.05.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ტუსკია , N 25 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დარეჯან ბაკურაძე პ/ნ 01026000777
- თბილისი ი.ტუსკიას ქ. N 25

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 28.01.2014 წლის №1099217 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს (შემდგომში–არქიტექტურის სამსახური) 2015 წლის 01 მაისს #AR1306278 განაცხადით მომართა დარეჯან ბაკურაძემ

ამავე სამსახურის 28.01.2014 წლის №1099217 ბრძანებიდან მეოთხე პუნქტის ამოღება.
არქიტექტურის სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ არქიტექტურის სამსახურის 28.01.2014 წლის №1099217 ბრძანებით ქ. თბილისში, ტუსკიას ქუჩა #25–ში, დარეჯან ბაკურაძის, ჟუჟუნა მერებაშვილისა და ქეთევან ბაკურაძის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.10.17.015.001) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 29 იანვრიდან 2015 წლის 25 ივლისის ჩათვლით.
დღეისათვის განმცხადებელი ითხოვს არქიტექტურის სამსახურის 28.01.2014 წლის №1099217 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორებას. კერძოდ, 28.01.2014 წლის №1099217 ბრძანებიდან მე–4 პუნქტის ამოღებას.
დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, არქიტექტურის სამსახურმა დაადგინდა, რომ ამავე სამსახურის 28.01.2014 წლის №1099217 ბრძანებაში დაშვებული იქნა ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, განმცხადებელს ბრძანების მე–4 პუნქტით, არამართებულად დაევალა განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტებისათვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებლის გადახდა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან სამსახურის 28.01.2014 წლის №1099217 ბრძანებაში არასწორად იქნა მითითებული კ2-ის გადამეტებისათვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებლის გადახდის ვალდებულება, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს, გაასწოროს დაშვებული ტექნიკური შეცდომა და 28.01.2014 წლის №1099217 ბრძანებიდან ამოღებულ იქნას მეოთხე პუნქტი.
ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტერქნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 28.01.2014 წლის №1099217 ბრძანებაში და ამოღებულ იქნას მე–4 პუნქტი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 28.01.2014 წლის №1099217 და 27.02.2014წ. #1133350 ბრძანებებთან ერთად.
3. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლოს ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6), ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.